

დღეს დღათუ და გაუფთა დასვის საზოგადოების დღეს

ხელი შეუწყვეთ ამ სიმპატიურ საზოგადოების გადარჩევას

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

ბათომის სახ. მოწამ. კოორპერატივ „სნიჟნი“

(შერეგეტ. ქ. № 18)

იყიდება თუთუნის

80 ფუთი, პაჭკავეში.

ნიმუშების ნახვა შეიძლება მაღაზიაში და მაღაზიის კანტორაში.

გ ა თ ო მ ი ს

მუშათა მაგიდა

ამით აცხადებს, რომ მუშა-მოსამსახურეთათვის მან მიიღო
კომბოსტო და ჭარხალი ოჯახზე დარიგდება 10 გი-
რვანქა, გირვანქა 8 მანეთად.
დარიგებას შეუდგება 16 აგა მასობა ილან.
მუშათა მაგიდა.

გათომი 17 მასობაში.

400 წლის წინად ოსმალეთი ცე-
ცხლითა და მახვილით შემოვიდა
ტაო-კლარჯეთში. იმ დროს ჰყვოდა
ეს მხარე, აქ იყო ფუძე ქართულ
კულტურისა და სახელოვან ქართ-
ლისა შეიღოთ.

მეომარმა ოსმალურმა ფანატიკებმა
საუკუნოების სიგრძეზე შანთებით,
ბორკილებით აწამა სამხრეთ საქარ-
თველოს მცხოვრებნი.

ოსმალეთმა ეს კუთხე, თვალი და
სანთელი საქართველოსა, გაამაჰმა-
დინა და ამასთან ერთად ეროვნუ-
ლად გათურქება გადაუწყვიტა.

400 წელს ქართველ მუსლიმანს
ჩასჩინებდნენ, რომ ის ქართველი
არ არის. ამას შერგბოდა ოსმალთა
და ეს შემკვიდრულად გაანაგრძო
მერე რუსმა.

მაგრამ დიდ არს ძალა ეროვნულ
შემცენებისა, რაც შობიდანვე დარ-
ჩა ობლად შეთენილად აქაურ ქარ-
თველთა სხეულში და აქამომდე ძმებ-
მა ქართველმა მუსლიმანებმა სახე
თვისი არ დაჰკარგა.

წარვიდენ, წელნი სიმხინჯისა,
უხეში ძალის მიერ მოგლეჯილი
სამუსლიმანო საქართველო დედა
სახელმწიფოს შეურთდა.

ჩვენ მოგვეწარით იმ ბედნიერ წამს,
რაზეც ოცნებაც კი ერიდებოდათ
საქართველოს რჩეულ მებრძოლთ,
მაგრამ რაც აუცილებელი იყო ის-
ტორიულ გზაზე.

სამუსლიმანო საქართველოს იცე
დაუდგა ხანა აღორძინება—რენე-
სანსისა.

ისლამის კულტურის რული პა-
ტივისცემით, სარწმუნოების წმინ-
დათ შენახვით, სამუსლიმანო საქარ-
თველო დაადგებ. დემოკრატიულ
ხალხისურ განვითარების გზას.

ჩვენს დროში ცხოვრება გარეშე
დემოკრატიულ თვითშეგნებისა მკი-
რე ერისთვის მეტად საძნელაა.

სამუსლიმანო საქართველო უნდა
მოიფინოს სკოლებით, ხალხში გავრ-
ცელდეს სახალხო მდამო ენაზე
დაწერილი გასაგები წიგნაკები, წა-
კითხულ იქნას გასაგები ლექსები
ისტორიიდან და სხვა დარგებიდან,
რათა ხალხი დაუახლოვდეს თავის
სახელმწიფოს.

წესრიგის შემქნელ ადმინისტრა-
ციულ მუშაობასთან ერთად, წარმო-
ებულ უნდა იქნას სახელმწიფოური
კულტურული მუშაობა, სკოლა უნ-
და გაიხსნას ყოველ მოზდილ სო-
ფელში და იქ არაბულ ანბანთან
ერთად მოზარდმა თაობამ ისწავლოს
სახელმწიფო ენაც.

ვისაც ასეთი მიზნები აქვს. იმას
სამუსლიმანო ბევრი აქვს და გულ-
ხელ დაკრეფილი ვერ ივლის, ხოლო
ცინც ავანტიურულ ზრახვებით და-
დის და არსებობას ამ ქვეყნა მიზნე-
ბის განადღებით ელის, მას ვეუბნე-
ბით ჩვენ, რომ მოკვდა დრო ხალ-
ხის მოტყუებისა საკუთარ ბედნიე-
რების შესაქმნელად, მშრომელ ხალ-
ხის ზურგზე ჯდომისა. ყველა თა-
ვისთვის, თავის კეთილშობილურ
შრომით, მაგრამ ყველა ერთად ქვე-
ყნის ასაშენებლად.

საქართველოს დემოკრატია, რომ-
ლის გრძობაშიც ბათომი რომან-
ტიულ სიმბოლოდ სტოცხლობს,
ხოლო ბრძოლის დღეებში კი თავ-
დადების და მედგარ მეომარ რიგე-
ბის მომხმადებელ გამწვრთნელ სკო-
ლად, სამუსლიმანო საქართველოს
მთავარ ყურადღებას მიაქცევს და მის
საკეთილდღეოდ არავითარ მსხვერპლს
არ გაექცევა.

მოსლიმანო ქართველებო! ეს დრო
თქვენა, კვლავ მ-გვეათ შემთხვევა
ქართველ ერის ისტორიაში თავი
ისახელოთ, სახელოვანი და სამაყო-
ნი იყვით საქართველოსთვის.

თბილისიდან ჩამოვიდა და ევრო-
პაში გაემგზავრება საქართველოში
დარჩენილ სოციალისტურ დელეგა-
ციის ნაწილი.

ქართველი ერი შეგნებით აფასებს
სოციალისტურ დელეგაციის მოსე-
ლას.

მან ბევრი რამ გვითხრა გულს
მისახვედრი და ეკლიან გზაზე გა-
მოსადგე... მან მოგვწოდა მშრო-
მისკენ, შრომისკენ და კიდევ შრო-
მისკენ.

ქართველი ერის დემოკრატიის
ძლიერებამ ოიზიდა სოც. დელე-
გაცია ჩვენსკენ, ჩვენ მადლობელი
გამოგვიმვიდობებით ძვირფას დე-
ლეგაციას და ვეტყვი: იქ, ევროპა-
ში, სადაც ჩვენი სახელი პროვოკა-
ციის უფსკრულშია გადასროლილი,

სადაც ვრანგელების აგენტები სა-
ქართველოს შესახებ ნავრცელებ
ინსინუაციებით სუფევენ, მედგარ
გაიხსნას ხმა საქართველოდან და-
ბრუნებულ დელეგაციისა, ემცნოს
მსოფლიოს სიმართლე ამ ქვეყნის და
მის დემოკრატიის შესახებ.

ეს ასეც იქნება. დემოკრატიულ
ქვეყანას, დემოკრატიის სამაყო ბე-
ლადებზე უკეთ ვინ დაიცავს!

ქალარა ბათომი, დამწყები დე-
მოკრატიულ განმანთავისუფლებელ
ბრძოლისა, კეთილ მგზავრობას გი-
სურვებთ.

საქართველო თქვენი მოსვლით
ხარობდა, წასვლის მერე მას ნუ დაი-
ვიწყებთ.

ბათომის მოქალაქე!

შენ მოკლულ ხარ წველილი გილო
მომავალ თაობის აზრდის საქმისთვის.

ვის გამოგაგვიან?

ახლა უკვე ყველამ იცის, რომ
ბოლშევიკების პატივსაცემ პირთა
შორის „კონტრ-რევოლიუციონერ“
კატეგორიის ვანდერველდე, ჰიუსმან-
სის და სხვა „რენეგატები“ ადგილი
ქვემო-ენვერ-ფაშებმა დაიკავე, და
ამიტომ რა ვასაკვირია ჩვენებური
„რუსეთში“ კომუნისტები მათი
პოლიტიკის დამცველების როლში
გამოვიდენ. ამას წინათ „ახალი
კომუნისტი“ ქვემო-ფაშის სომხეთზე
თავდასხმას სტრატეგიული თვალსა-
ზრისით ამართლებდა. რასაკვირვე-
ლია კომუნისტების მოკავშირის
ასეთს სტრატეგიულ მდგომარეობას
მოსკოვის სოცდარკომის პოლიტიკი-
სათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და
სრულიად არ გაკვირვებია, როცა
„ახალი კომუნისტი“ ქვემო-ფაშის დამ-
ცველის როლში გამოვიდა.

ახლა „ახალი კომუნისტი“ აქარ-
ლებს ექიმება და მათი დამცვე-
ლის როლში გამოდის:

„ერთ სოფელში ერთმა ადგი-
ლობრივმა გლეხმა მოკლა შეურაცხ-
ყოფელი მოძალადე მილიციონერი.

ვერც ერთი სახელმწიფო, ვერც
ერთი მთავრობა თავზე ხელს არ
დაუსვამს და შუბლზე არ აკოცებს
მკვლელს რა პირობების ზეგავლენით
არ ჩაედინოს მას დანაშაული, ვერა-
ვინ მოსთხოვ ასეთ ქრისტიანობრივ
თავდაბლობას ქართველ მენშევიკებ-
საც, მარა ის, რაც მათ დაატრიალეს
ამ მკვლელობის გარშემო ალიხანო-
ვის დრის გვაგონებს. სოფელს ახა-
ლეს ულტიმატუმი: მზის ჩასვლამდე
ერთი მკვლელის მაგიერ ხუთი
მკვლელის გაცემა, ერთი მილიონი
მანეთი ჯარიმა, იარაღის მიცემა თუ
არა და ვეზუკუტია ჯარის, ნაწილე-
ბის ჩაყენებით. აი დემოკრატიზმის
ნაწერი, „უფლებრივი დემოკრა-
ტიული“ რეჟიმის სიტუაცია. სწერს
„ახალი კომუნისტი“.

ემჯობინებოდა „კომუნისტს“ ფა-
რისელობაზე ხელი აეღო და აშკა-
რად ეთქვა თუ ვისი დამცველის
როლში გამოდის და ასე კუდი რამ
აუწყა.

აღბათ ყველა ის ამონაწერი, რომ-
ელიც კომუნისტს მოყავს თბილი-
სის გაზეთებიდან ამოიღო, რომელ-
თაც თავის მხრივ ეს ამონაწერი ბა-
თომის გაზეთებიდან აქვს ამოდებუ-
ლი. „ახალ კომუნისტს“ რომ საქ-
მის ნამდვილი ვითარების გაგება აინ-
ტერესებდეს და არა იაფ-ფასიანი

დემავოგია. ის გაიგებდა (წიკითხავ-
და საგ. კომისარის დევეშას ან ბა-
თომის გაზეთებს), რომ ოლქში პრო-
ვოკაციული მუშაობა სწარმოებს,
კომუნისტების ახალი მოკავშირის—
ქვემო-ფაშის აგენტები, გადაცმული
პროვოკატორები სოფელ-სოფელ
დაძრწიან და ახალ-ფანტიურისათვის
ნიადაგს ამზადებენ. ეს ხონ ქართველ
კომუნისტებისა ვის, რომელნიც
რუსეთზე უფრო მეტს ფიქრობენ
და ზრუნავენ ვიდრე ქართველ მშრო-
მელ ხალხზე სასიხარულო ფაქ-
ტია,—ხელი ხელს ბანს და ორივე
პირსო, ნათქვამია, ქვემო-ფაშის
მუშაობა ხოც კომუნისტების წისკვილს
აბრუნებს.

კონის და ორთაბათომ-ყოროლის-
თავის ამბები კომუნისტების ძმობი-
ლების მუშაობის ნაყოფია, ისი-
ნი ამხედრებდენ ხალხს საქართვე-
ლოს მთავრობის წინააღმდეგ, ეუბ-
ნებოდნენ: ქვემო-ფაშამ ზარბაზნები,
ტყვიის მურქვეველები გამოგვიგზავ-
ნა და ჩქარა მისი ჯარები აქ იქნე-
ბაო. კონში მილიციონერების და-
ხოცვა ერთი კაცის საქმე არ არის,
სახლი, სადაც ისინი მოკლეს, სულ
ერთიანად არის დახვრეტილი ტყვი-
ებით, რაც ყოველად შეუძლებელია,
რომ ეს ერთი კაცის საქმე ყოს,
ეს არის პროვოკაციით გამო-
როტებული ხალხის შავი საქ-
მა. შეიძლება მილიციონერმა ჩა-
რთლა მიაყენა ვინმეს შეურაცყო-
ფა, რისი მოთმენაც არ შეიძლება,
მაგრამ რა შუაშია მთავრობა ს არ-
დამორჩილება, გადა ახადებზე უარის
თქმა, მილიციის სოფლებში არ დაი-
შვება, ან მოკლულთა გვამების მი-
წიდან ამოღება და ძაღლების საძი-
ძენ-ახრავად მიწაზე დაყრა, რო-
გ-რც ორთა-ბათომში ჩაიღინეს.

„ახალი კომუნისტი“ კი ასეთი
უმსაგავსოების დამცველის როლში
გამოდის, სისაძაგლეს და ანტი-სახელ-
მწიფოებრივ ამოსვლებს ამართლებს.
მაგრამ იმ ჯგუფის ორგანი-
საციის ყოველი სიტყვა და საქმე
საქართველოს სახელმწიფოებრივობის
წინააღმდეგ არის მიმართული განა
მოეთხოვება რამე?

მაგრამ რათ ავიწყდება ჩვენებური
კომუნისტებს თავის რუს-თანამოძმე-
ების საქმეები, რომლის მართო ერ-
თი გახსენებითაც თმა ყალყზე აუდ-
გება ყველას?

ნუ თუ კოკანდის განადგურება და
მიწასთან გასწორება არ ახსოვთ მათ.
იქ ხომ არავითარ კონტრ-რევოლიუ-
ციონურ გამოხსენებს ადგილი არ
ქონია, მაგრამ მიუხედავად ამისა
თურქესტანის ავტონომისტების რე-
ზიდენციას დღევანდელს განმავლობაში
ყუმბარებს უშენდენ.

კომუნისტებს როგორც მოსკოვე-
ლებს ისე ქართველებს ორი საზომი
აქვთ—ერთი თავისი მოქმედებისთვის
და მეორე სხვისათვის.

ის, რაც თვითონ აკეთებენ, უად-
რესად რევოლიუციონერი, რისაც
სხვა მობა კონტრ-რევოლიუციონერ-
ი და ანტი-დემოკრატიულია.

მაგრამ ჩვენ უკეთ ვგრძობთ რა
არის დემოკრატიული და რა არა.
შეიძლება ქვემო-ფაშის პროვოკა-
ციის წინააღმდეგ ბრძოლა და მათ
ავიტატორების და მოტყუებულ ხალ-
ხის წინააღმდეგ რეპრესიული ზომე-
ბის მიღება, დეათარს ურევდეს ვინ-
მეს და წინასწარ გამოუმუშავებულ
გვემას უფუშავდეს, მაგრამ რა ვქნათ.

ჯერ ჯერობით ჩვენ ვართ ჩვენი ბედ-იღბლის პატრონი და მოვალენი ვართ თავს მოუაროთ, თუ გინდ ამისთვის საქართველოს „კეთილი“ მოქალაქეების კომუნისტების ქმობილების შეწუხებაც დაგვიკრძალეს.

მ-60.

დედათა და ბავშვთა დახმოს საზოგადოება.

ეს საზოგადოება შესდგა 1919 წლ. ივნისში და მიზნით დაისახა არა მარტო მატერიალური დახმარების გაწევა, არამედ ზრუნვა ბავშვებზე დღიდან დაბადებისა 14 წლამდე. საზოგადოება თვალყურს ადევნებს ბავშვების როგორც ფიზიკურს ისე სულიერათ აღზრდას.

საზოგადოების მიზანია ძუძუ-მწოვანთა ბავშვებისათვის უფასო კონსულტაციის მოწყობა, ბავშვების კვების თვალყურის დევნება, საკანონმდებლო გზით მოწყობა დედათა კასების, საიდნაც დედა, მშობიარების დროს, მთავრობისაგან სუბსიდიას აღება. ბავშვთათვის ბავშვების მოწყობა, ფაბრიკა-ქარხნებში, რომ მუშა-ქალებმა მუშაობის დროს იქ დატოვონ ბავშვები, სადაც მათ თვალყურს ადევნებს სპეციალურად დაინიშნული ექიმი და მომხმარებელი პერსონალი, განსაზღვრულ დროს დედები მიდიან ბავშვებთან, რომ ძუძუ აქამონ.

საზოგადოების მიზანია აგრეთვე მოწყობა: ბავშვთა სახლების ბავშვთათვის ერთი წლიდან სამ წლამდე, ბავშვთა ბაღის 3 წლ-7 წლამდე, ბავშვთა კლუბების 7-14 წლამდე, ბავშვთა საზაფხულო კოლონიების, უდემამო ბავშვთათვის თავშესაფარის მოწყობა განსაკუთრებით სოფლის ჯანსაღ პირობებში, ბავშვების აღზრდის შესახებ ლექციების და კურსების მოწყობა და სხვა.

ასეთი ფართე და მრავალმხრივია საზოგადოების მიზანი. გამგეობას, რომელიც საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე აირჩიეს, მუშაობის დაწყებისას საღაროში მხოლოდ რამოდენიმე ასი მანეთი ჰქონდა.

ივნისის მანგლისში გაიხსნა საზაფხულო პანსიონი 6-14 წლ. ბავშვთათვის.

სულ იყო 26 ბავში, უმთავრესად ქვრივთა და ინტელიგენტ მშრომელ ქალთა ბავშვები. აგვისტოში და სექტემბერში ეფიანდუიანცის ქარხანაში გაიხსნა ბავშვთათვის და კონსულტაცია 1 1/2 წლ. ბავშვთათვის ვერაზე, ავლაბარში და ნაძალადევიში.

ეს შეიძლება ნაკლებ შესანიშნავი, იყოს მაგრამ საზოგადოების მხრივ დიდი ნაბიჯია.

რუსეთის იმპერიის სტატისტიკური ცნობების მიხედვით ბავშვთა სიკვდილი 25% უდრის, ე. ი. დაბადებულთა მეოთხედი კვდება. მთავარი მიზეზი ამისა არის, რომ დედებმა არ იციან ბავშვების მოვლა და აღზრდა.

საკონსულტაციო პუნქტებში ექიმი ყოველ კვირა სინჯავს ბავშვებს, თვალყურს ადევნებს მი სვანითარებას, აღწევს დარიგებას დედებს.

ექიმის დარიგებთა შესრულებას თვალყურს ადევნებს საზოგადოების მიერ დან შნული პირები.

ა. წ. პირველ მანამდე საკონსულტაციო პუნქტებში დახმარება გაეწია 700 ძუძუ-მწოვარ ბავშვს, ექიმის მიერ რჩევა—დარიგების, თვალყურის დევნების თუ სხვა სახით

ამა წლის შემოდგომიდან ბავშვებს მიეცემა რძე, რისთვისაც შექმნილია 15 ძროხა,

ფაბრიკა-ქარხნებში ბავშვთათვის ბავშვების არსებობამ საუცხოველ შედეგები გამოიღო: არ ყოფილა სიკვდილის არც ერთი შემთხვევა ან სერიოზული ავადმყოფობა.

თებ რვაღში გაიხსნა ბავშვთა სახლი ან დრეკა ქორდანის სახელობის, სახლთან მოეწყო ბავშვთა ბაღი, სადაც 60 ბავში არის—ობლები ან უმუშევართა შვილები.

ბავშვებს ეძლევა ორი თავი სადილი, დილა-საღამოს ჩიი; აგრეთვე ეძლევა ტანსაცმელი, საცვლები, აბანო. მაცადინებია ჩვეულებრივია—ბავშვები ბაღში დილის 7 საათიდან საღამოს 5—6 საათამდე რჩებიან. ამ დროსათვის მით აკითხავენ დედები.

იმავე შენობაში მოთავსებულია ბავშვთა კლუბი 7—14 წლიან ბავშვთათვის, კლუბში მოწყობილია ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ფესხაცმელების და საღურგლო სახელოსნო, ბავშვებს ასწავლიან გალობას, ხატვას, ტანვარჯიშობას და სხვ.

გორში მიწისძვრამ ქუჩაში დატოვა მრავალი ბავში, რომლებიც საზოგადოებამ თავის მზრუნველობაში აიყვანა, ისე როგორც ფონტზე დაღუპულ გვარდიელთა და ჯარისკაცთა შვილები. მათთვის სასწრაფოთ მოეწყო თავშესაფარი.

ამერიკელებმა, რომლებმაც სურვილი განაცხადეს გორის მაზრაში დაზარალებულთა 100 ბავშვზე ზრუნვა, შემდეგ დაკეტეს თავისი დაწესებულებები და წინადადება მიცეს საზოგადოებას, ბავშვები უკანვე წაეყვანათ.

ამ უმაღლესი ელემების და ზოგიერთი თბილისელი უდემამო ბავშვები ორთაქალაში არიან შეკრებილი, მიზროვის მამულში, სადაც ბოსტნეულობა მოყავთ, რადგან გამგეობა სცდილობს ბავშვებს ჯანსაღი და სოფლური აღზრდა მისცეს.

მოკლე ხნის განმავლობაში საზოგადოების მოღვაწეობა დიდათ დაიზარდა და გაფართოვდა და გამგეობა ყველა ამ მუშაობას ვერ გასწვდებოდა, მით უფრო რომ გამგეობის წევრები არაერთხელ გასამრჯელოს არ იღებენ) რომ საზოგადოების წევრები მას ფართო დახმარებას არ უწყვედენ: გამგეობასთან ერთად მუშაობს ორი სექცია: პედაგოგიური და საექიმო, ცნობილ საზოგადოებში თა მონაწილეობით.

ამ ხნის განმავლობაში საზოგადოების საშვალებას შეადგენდა აბანოები, რომელიც საზოგადოებას იჯარით აქვს აღებული მიწათ-მოქმედების სამინისტროდან, სარძევე ფერმა, საწვერო გადასახადები და შემოწირულება. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფართო დახმარებას უწყვედენ საზოგადოებას.

თბილისის მუშათა დეპუტატების ზბკომ ნახევარი მილიონი მანეთი შესწირა საზოგადოებას, მთავრობამ 500,000 მ., ბათუმის პროფ. კავშირებმა—500,000 გორელ ბავშვთათვის.

საზოგადოების ხარჯი აღრიცხვა 1920 წლისათვის ნავარაუდევია 9 მილ. მანეთამდე.

ბ ა ვ შ ე ბ საზოგადოების დაწესებულებებში მიიღებიან ქალთა მუშურ ორგანიზაციების საშვალეობით ან და ოჯახ რ მდგომარეობის ადგილობრივ გამორკვევის შემდეგ საზოგადოების მიზნით აქვს დასახული საქართველოს ყველა კუთხეში თავისი განყოფილება გახსნას.

მიეცით კარგი დედები, რომ კარგი შვილები გამოვიდენ.

ჩვენი მოვალეობა.

დღეს დედათა ბავშვთა დაცვის დღეა.

დემოკრატიული რესპუბლიკაში არ უნდა იყვნენ ცხოვრების გრები. მომავალი თაობის აღზრდას დიდი აღსერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

მარტო პოლიტიკური და ეკონომიური გადახმებისთვის ბრძოლა როდია საქმე.

უნდა ვაზრუნოთ ჯანსაღი თაობა აღიზარდოს, ქალაქის მოშამულ ატმოსფერას და ცხოვრების ვაგლახ პირობებისაგან დაუმახინჯებული.

დღეს მრავალი დედა იძულებულია ბავშვები უპატრონოდ დასტოვოს და ლუკმა ჰურის საშოვნელად მტვრიან, ბნელ სარდაფებში და ფაბრიკა-ქარხნებში იშრომოს. ბავშვები კი ქუჩაში აღამებენ, ქუჩის სიმახინჯის მსხვერპლი ხდებიან.

მრავალი მათგანი უპატრონობის და მოუვლელობის გამო სიცოცხლეც აღარმტა.

მუდამ ლუკმა ჰურზე მზრუნვე მშობლებს საშვალეობა არა აქვთ მათ მოუარონ, ან არ იციან მოვლა-ღზრდა.

ბავშვის აღზრდა-მოვლის საქმე რომ შესაფერად იყოს დაყენებული ბავშვთა სიკვდილის რიცხვი საარაკოთ შემცირდებოდა.

დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოებას სწორეთ ეს აქვს მიზნით დასახული. ნივთიერი დახმარების მაგვრათ საზოგადოება ზრუნავს ბავშვზე დღიდან დაბადებისა 14 წლამდე, ავალ ყურს ადევნებს მის სულიერად და ფიზიკურად განვითარებას.

ხელს უწყობს, რომ ბავშვის გონება ვით რდებოდეს ყოველ მარტო და სიცოცხლით და სიჯანსაღოთ საევე ოყონ ისინი. თბილისში უკვე მოეწყო ასეთი საზოგადოება და მუშაობაც დაიწყო.

ფართე საზოგადოება ვერ გაივლის გულგრილთ ამ სიმპატიურ დაწყების ახლო. ყველა ჩვენგანი ვალდებულია მსურველე მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში. მომავალ თაობაზე ზრუნვა ვალთა ყველასი.

დღეს ამ საზოგადოების დღეა აქაც უნდა გაიხსნას ამ საზოგადოების განყოფილება. ბათუმის ყველა მოქალაქემ მსურველე მონაწილეობა მიიღოს და თავისი წვლილი გაიღოს ამ დღისათვის.

X.

დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების მიზანია ჯანსაღი თაობა გვყავდეს. ხელი შეუწყვეთ საზოგადოებას!

ქრონიკა.

დღეს შუადღის 12 საათზე დედათა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების ორგანიზატორი და თავმჯდომარე ქ ნი ინა ქორდანისი მუშათა სასახლეში გააკეთებს მოხსენებას საზოგადოების მიზნების და მუშაობის შესახებ

დღეს ბათუმის რესტორანები და სარძევეები ღამის ორ საათამდე ივაჭრებენ. შემოსავლის 15% დედათა და ბავშვის დაცვის საზოგადოების სასარგებლოთ გადაიდება.

დღეს დილის 10 საათზე გამყრფილის ცირკში დანიშნულია საქ. სოც-დემ მუშათა პარტიის ბათუმის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება. მომენტზე მოხსენებას გააკეთებს დამფუძნებელი კრების

წევრი გ. ანჯაფარიძე. გასაჩივრია აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ქრონიკა

გუშინ დილით რვა საათზე ჩამოვიდა სოციალისტური დელეგაციის დარჩენილი ორი წევრი პროფესორი ქდე-ბრიუკერი და გიუსმანის ქალი. სადგურზე შეხვდნენ: საგანგებო კომის. თან შ. გენ. მდივანი, საბსაბქოს შემადგენლობა თავმჯდომარის მეთაურობით, შრომის კომისარი და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგაციის წევრები იმავე დღეს 6 საათზე ევროპაში გაემგზავრენ.

მთავრობის დადგენილების თანახმად ყველა თხელი საბოთი მასალა, რომელიც ბათუმში მოიპოვება, ვადაცა თბილისის ცენტრალურ განმანაწილებელ ბიუროს.

15 სექტემბერს შესდგა ქალაქის საბქოს ტექნიკური კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა გამგეობის წევრის ქორქაშვილის მოხსენება. კომისიამ დაადგინა მოწვეული იქნას 12 ინჟინერი და ექსპერტი, რომელიც გამოარკვევენ ქალაქის ელექტრონის სადგურზე ელექტრონის ლირებულებას ქალაქისათვის. ამონენტები გაიყოფა ორ კატეგორიად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილებით აზერბაიჯანის ყოფილ კონსულს ბათუმში ექიმ ეფენდიევს დატუსაღების ვადა სამი თვით გაუდიდეს.

ბათუმის სტუდენტთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეთ აირჩიეს ვ. ზღანვეიჩი.

ქალაქში ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე რათა გადასახადი ცეცხლ. მქ. რაზმელების, თეატრებში მორიგეობისათვის, გადაიდვას რაზმელების სასარგებლოდ და არა ქალაქის კასაში.

სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება სთხოვს ქალაქის საბქოს გამოგზავნოს თითო წარმომადგენელი გამწაღებულ—გამსესხებულ და საფალიურო კომიტეტში.

ტექნიკურმა კომისიამ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის ცხენების თავლის შეკრების შესახებ (ყოფილი ყაზახების ყაზარმა) და გადასდო შესაკეთებელი 1,342,346 მ.

ქალაქის საავადმყოფოში 15 ოქტომბერს იმყოფებოდა 105 ავთამყოფი. ამათში 7 ყვავილბატონებით და ტიფით 9 ავადმყოფი.

სამშაბათს 19 ოქტომბერს გამყრფილის ცირკში გაიმართება ქიდაობის ხელმძღვანელის სკოროროშვილის დიდი ბენეფისი.

ნაჩილი კოგულაითიდან.

ოქტომბრის 15 აქ, ჩამოვიდა ქართველ მუსლიმანების საყვარელი დებ. აკაკი ჩხენკელი. ხალხმა მას აუხსნა თავის ქირ-ვარამი, სთხოვა მომავალშიც ძველებური ყურადღება და დახმარება.

აკაკი დაპირდა ხალხს შეძლებისდაგვარად ყოველგვარ დახმარებას და მთავრობასთან შუამდგომლობას მათ საქიროებებზე.

ხალხმა დიდი მადლობა გადაუხადა დებ. აკაკი ჩხენკელს მოსვლისთვის და „ვაშას“ ძახილით გამოაცილა.

მთავდა.

ქაქელისტაგის თავდასხმა სომხებზე.

ფ რ ო ნ ტ ზ ე. სარაყამაშის მიმართულებით ჩვენ მიერ 14 ოქტ. დაწყებულ შეტევის დროს მტრის ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდა.



მერდენეკის მიმართულებით კაი-
ნიხის და კოიუნდაგის მთების რაიონში
ბრძოლა მიდრეკილია, ჩვენს ჯა-
რებს ძველი პოზიციები უჭირავს.

ორღუბადის მხრივ თათართა ბრ-
ბოებმა მოქმედება დაიწყეს რევა-
ნის წინააღმდეგ. ჩვენ მტკიცეთ ვვი-
ჭირავს ჩვენი პოზიციები. ამ რაიონ-
ში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავი-
კავეთ.

დემოკრატიული რესპუბლიკაში
ცხოვრების გერები არ უნდა იყოს!

უცხოეთი.

სხვა და სხვა ამბები.

რიგის კონფერენცია.

რიგაში რუსეთ-პოლონეთის დე-
ლეგატთა საზავო მოლაპარაკება
სწორი ბზ ჩერნოგოლოვების ძველ
სახლში. ეს არის სახლი რიგის
ძველი კლუბის. პოლონელებს სტე-
რეტარიატა მოითხოვა, რომ სხო-
ნის ზალიან გატანათ ნეფეთა სუ-
რათები, რომლებიც ჩერნოგოლო-
ვების ორდენს ჩუქა რუს მეფეებმ.
პეტრე დიდიდან დაწყებული აღექ-
სანდრე მეორემდე. პოლონელები
დაიშურენ, რომ თუ მათი მოახოე-
ნა არ იქნა შესრულებული, ისინი
ქულებს დახურული იქნებიან სხო-
ნების დროს. ინციდენტი ბოლოს
მოაგვარეს. სურათებ თავის ადგილ-
ზე დარჩა, პოლონელები სხდომებზე
უქულოთ ზიან.

ყველაზე სერიოზული ამბავი—
იოფეს ახალი განცხადება. იოფემ
კონფერენციის მეშვიდე სხდომაზე
წაკითხა განცხადება, რომელიც ეყ-
რდნობოდა ცენტრალურ აღმსრუ-
ლებელ კომიტეტს 3 სექტემბრის
დადგინებებს.

ქალაქის ფულის რაოდენობის ზრდა
გერმანიაში.

გერმანიაში იყო ხმარებაში ქალა-
ქის ფულს შემდეგი რაოდენობა:
1914 წ. 30 ივლისს 2 მილიარდი
700 მილ. მარკა.
1918 წ. 31 ოქტომბერს 26 მი-
ლიარდი 200 მილ. „
1920 წ. 31 აგვისტოს 77 მი-
ლიარდი მარკა.

რუსი ჟურნალისტის დატუსაღება.
ნიუ-იორკში ამ რამდენიმე ხნის
წინათ ააფეთქეს საფონდის ბირჟა,
ასეთივე ცდა გაიმეორეს გენუაში,
მაგრამ ვერ მოხერხდა. ნიუ-იორკში
ბირჟის აფეთქებაში მონაწილეობის
რქვით დაატუსაღეს რუსი ჟურნ-
ლისტი ბრაილოვსკი.

ვრანგელის წმინდანები.
ყირიმის ვაზთი „ვაოენ. გოლოს“
ცისობებენ მელიტოპოლიდან: ას
მოვ და კისკაპოზ ბენიამენის თან-
ხლებით კუ სკის დეპილ-ი ოპლი-
სასწავლ თმამქმელი ხატი. ხტი მო-
იტანეს შავკარ-სარდლს ქატაგ-
ლით. ხტის შეახვედ ათ ჯვარის
გამოსცნებით გაემართა მრავალი
ხალხი, სახედრო და სამე ქალაქო
პირთა, ქალაქს და ერობათა თვით-
მრთველობის წარმ- მაღგენელთა, მო-
წაფეთა და მრავალ მლოცველთა
ანხლებით. ხტი გამოტანა გენ.
ვრანგელმა, რომელმაც ხტით დ-
ლოცა მრავლათ შეკრებილი ხალხი.
ხტის დაქვრახე ეხმარებოდენ გენ.
კუუბოვი და შატილოვი.

დასაწყისო.
თავისუფალმა ქალაქმა ფაქიმე დ-
ანუნციო იირჩია მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარეთ და საკარგო საქმეთა
მინისტრათ.

შეერთებულ შტატებში.
«ტრენსი იუწყება, რომ დემოკრა-
ტიკა შტატ მენში გუბერნატორის
არჩევნების დროს სასტიკი დაპარ-
ცხება განიცადეს. რესპუბლიკანელი
გუბერნატორი არჩეულ იქნა 60 000
ხმის უმრავლესობით. კონგრესის ყვე-
ლა წევრები და მოხელეებო რესპუ-
ბლიკანელები იქნებიან. დემოკრატი-
კის დამარცხებას ხელი შეუწყო ვილ-
სონის მერყევა მდგომარეობაში.

პოლონეთის საზავო პირობები.
პოლონეთის საზავო ხელშეკრუ-
ლების უმთავრესი მუხლები შემდე-
გია: 1) ლიტვისა და ესტონიის დამოუ-
კიდებლობა, 2) პოლონეთის რუ-
სეთის ვალდებისაგან განთავისუფლება.
3) პოლონელ მოქალაქეთა ზარა-
ლის ანაზღაურება. 4) რუსეთის ოქ-
ტობის ნაწილის პოლონეთზე გადა-
ცემა.

მოსკოვიდან იუწყებიან რომ პო-
ლონეთის პირობები მიიღეს.

საპარტიზმო და გერმანია.
გერმანიის მთავრობას გადაუცია
საქართველოს რწმუნებულისათვის
ბერლინში გერმანიური ხელშეკრუ-
ლობა ლიტვასთან და საკითხი დაუ-
ყენებია, დაინახავს თუ არა შესაძ-
ლებლად საქართველო. დასდოს ასე-
თივე ხელშეკრულობა გერმანიის-
თან.

მდგომარეობა ირლანდიაში.
ლონდონი. (4 ოქტ.) შაბათს
შესდგა წათბირი ირლანდიის ადმი-
ნისტრაციის უფროს გრინველსა და
ინგლისის შვიარადებულ ძალების
მთავარ სარდალს ირლანდიაში სერ
მაკრედის შორის.

„დეილი ხრონიკლი“ ადასტურებს
პოლიციელთა მიერ სინფინერების
წინააღმდეგ მიღებულ რეპრესიებს,
მოკლულ ამხანაგების შურის ძიების
სახით.

მაკრედი მიუთითებს, რომ პირო-
ბები, რომელშიც ეს რეპრესიები
ხდებოდა, ძლიერ გაზვიადებულია
გზებების მიერ, თუმცა ამ ფაქტე-
ბის მიერ გამოწვეული აღშფოთება
ზოგიერთ შემთხვევებში საპარტილიანი
იყო.

ირლანდიის მთავრობა იხილავს
ახლა მომხდარ ამბებს შემდეგი ზო-
მების მისაღებათ.

მაკრედი, რომელიც ინგლისის
მთავრობის სრული ნდობით სარ-
გებლობს, ეთანხმება სტატ-სეკრეტარის
ირლანდიის საქმეებზე აზრს,
რომ ასეთ მოვლენებს ბოლო უნდა
მოეღოს.

ირლანდიის მთავრობა ზომებს
იღებს ასეთი რეპრესიები მომავალ-
ში რი განმეორდეს.

სხვათა შორის ერთ ერთ ზომათ
მიღებულა პოლიციელთა ბარაკე-
ბის ახლო დიდი პაქეტების დანიშ-
ვნა, პოლიციელთა ბოროტმოქმედ-
ების თავიდან ასაცილებლათ.

მიეცით საშვალეობა, რომ მტკრიან
ქარხნებში მშობელ დედებს საშვა-
ლებია ქონდეთ შვილებს მიხედონ.

ბუხარა.

გაზ. „ვოლნი გორეცის-ს“ თანა-
მშრომელი ესაუბრა ბუხარაში მომ-
ხდარ ამბების შესახებ თურქე ტანის
ცნობილ მოღვაწეს მუსაფა ჩოკაევს.
საუბარი მეტად საყურადღებოა იმ
მხრით, რომ საინტერესო ცნობებს
იძლევა საბჭოთა ბუხარის დღევან-

დელ მმართველების შესახებ. საუბა-
რი მკირეოდენის შემოკლებით მო-
გვაყვს:

„ბუხარაში შექმნეს რევოლიუ-
ციონური მთავრობა-ბუხარის სოვენ-
არკომი, რომელშიც შედიან: ფეი-
ზულა ხოჯაევი (თავმჯდომარე და
სავარგო საქმეთა კომისარი) სე ჯა-
ნოვი (წინაგან საქმეთა კომისარი)
ბურხანოვი (იუსტიციის კომისარი)
კულ მუხამედოვი (საზხედრო კომი-
სარი) და უსმან ხოჯაევი (ფინანსთა
კომისარი.)

ამ პირობიდან მე ვიცნობ ფეიზუ-
ლა ხოჯაევს და უსმან ხოჯაევს.
ორივენი ეკუთვნიან ახალგაზრდა
ბუხარელთა პარტიას და ზომიერ
სოფლ მხედველობის ხალხია.

1918 წ. ი. წ. კოლესოვის ბუ-
ხარაზე გალაშქრობის შემდეგ, ისინი
იძულებული გახდნენ ბუხარიდან გა-
ქცულიყვნენ. ფეიზულა ხოჯაევი
ამაჟ წლის ივლისში დუტოვის მთა-
ვრობის მიერ დატუსაღებული იქნა
ორენბურგში. საქირო დარჩა მრავა-
ლი პარტიების და სხვათა შორის ჩემი
ჩარევაც, რომ ისინი გაეთავისუფ-
ლებიან.

იქიდან ის უსმან ხოჯაევთან ერ-
თად გაემგზავრა მოსკოვს, სადაც ის
ფართო ვაჭრობას აწარმოებდა ბუხ-
არის ტყავით (მისი სავაჭრო იყო
ნიკოლაევის შესახვევში); ოსმან ხო-
ჯაევი იყო მისი რწმუნებული სა-
ვაჭრო საქმეებზე. ჩემთან ლაპარაკ-
ში ისინი გულისტკივილით აღნიშ-
ნავენ იმ უმსგავსეობას, რომელსაც
ჩადიოდენ თურქესტანელი ბოლშე-
ვიკები ბუხარაში

— ისინი ეცნენ ბუხარელ ბეგების
ძეოვასს ნიეთ-ბს და სრულიად და-
ავიწყდოთ თავ სი ვალი ახალგაზრდა
ბუხარელების წინაშე, — გადმოგვცემ-
დენ ფეიზულა ხოჯაევი და უსმან
ხოჯაევი.

კულ-მუხამედოვი (მე პირადათ
მას არ ვიცნობ), ქერკინელი თურ-
ქმენი ტომით, ერთხანს კონსტანტი-
ნოპოლში ცხოვრობდა და ამიტომ
ბუხარაში ფრთად შეგნებულ და პო-
ლიტიკურად მამხადებულ კაცად
ითვისება.

ვინც არ უნდა იყვენ ყველა ეს
ბუხარელი კომისარები, ისინი ის არ
აიიან ის, ვისი დახმარებთაც შეი-
ძლება რუსულ-ბოლშევიზმისებური
სოციალური რეფორმების გატარე-
ბა.

იქვი არ არის იმაში, რომ ათ
ქუჩუხანის ბედი ელის.

ხოლოდ ბუხარელ „კომსარებს“
არ ყავს თავისი ერთგული რაზმები,
და იძულებული იქნებიან ეძებონ
ხსნა საშუალო აზი სხვა და სხვა
კუთხეებში.“

საქართველოს მთავრობის საპარტიზმო მითითება

მე ვერ წარმომიდგენია რამდენჯერ
ბნელი ძალების მიერ მოტყუებულს
ხალხი კიდევ ბნელი ძალების აფე-
ტაციას ყვებოდეს. ხალხში ჩვენი მტ-
რების მიერ გავრცეებულია ხმები, ვი-
თომ ჩვენ რამოდენიმე ამხანაგება ვმე-
უზაობდეთ ავტონომიის საწინააღმ-
დეგოდ, რაც სიმ რთლეს სრულიად
არ შეეფერება. მე მინდა მოკლეთ გა-
ვაგებო ჩვენ ხალხს წარსულში რას
ვმუშაობდით და ეხლა რას ვმუშა-
ობთ:

ოსმალეთის ჩვენ ქვეყანაში შემოსვლის
შემდეგ დედა სამშობლო საქართვე-
ლოს მთავრობის დახმარებით შეექ-
მენით ქართველ მუსლიმანთა გან-
მთავისუფლებელი კომიტეტი, ჩვენი
განთავისუფლებისათვის საზრუნავად.
მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხები
გადაწყვიტეთ და შემომოხსენე-
ბული კომიტეტიც დაიშალა, ჩვენ
თითქუელი ყველა განთავისუფლდით
და როგორც თავისუფალი მოქალაქე
შეუდგებით მუშაობას, ჩვენი ბედ-
იღბლის გამოქედს. დავიწყეთ პა-
ტიული მუშაობა. ს. ს. დ. მ. პ. პ.,
რომლითაც რუსეთის პირველი რევო-
ლიუციის დღეებში ვწელობდნენ ეო-
ბდით, ეხლაც იმ იდეებისათვის ვიბ-
რძვით, ჩვენ გადაწყვიტეთ ვებრძო-
ლოთ პროვოკატორების დამლუბველ
მუშაობას. ზოგიერთებს სურთ ხალხ
ში ნდობა დავიკარგონ, მაგრამ
თქვენ თვით იცით ვინ სტყუოდა
და ახლაც ცდილობს მოგატყუოთ
და თავისი საქმეები აკეთონ. ისინი
გულებნიან: მთავრობა ავტონომიას
არ მოგცემსო. ნუ თუ ჩვენი არჩეუ-
ლი მთავრობა ჩვენი სურვილს დაჩრ-
დილავს. დიდი სიცრუე. დაპირე-
ბული ასრულდება: ჩვენ კი მოქა-
ლაქეობრივ შრომას უნდა შეუდგეთ.
პარტიული მუშაობა გავაცხოველოთ,
ყველა სოფლებში არგანიზაციები
მოვაწყეთ, უნდა გაიკანახათ ხალხი,
რომლებიც ჩვენ და საკეთილდღეოდ
იზრუნებენ, ხალხს თვალები უნდა
აუხილოთ, მტერი-მოყვარე დავანახ-
ვოთ. სანამ ეს არ გაკეთებულა,
სანამ ხალხი სიბნელეშია და პრო-
ვოკატორებს უჯერის, ვერავითარ
საყვედურს მთავრობაზე ვერ ვიტყ-
ვით, როდესაც ყველა ზემოთ ნათქვამს
შეგასრულებთ, მაშინ საყოველთაო
და ფართული ხმის მეც მით ავირჩევთ
წარმომადგენლებს, რომეთოთაც ჩვენ-
ზე ზრუნვას და შრომას დავავალებთ.

ხასან თხილაშვილი.
სარედაქციო კოლეგია.

გაგურელიძის სირკი.

კვირა, 17 ოქტომბერი.
დიდი საღმარისა საულო ნარკომდგანა.
მსოფლიო ჩემპიონატის ფრანგული ქილაობის
გაგრძელება
ქილაობს 3 წყვილი.
1) მუშა—უტნობის წინააღმდეგ.
2) ტომსარი—მკარავის წინააღმდეგ.
ესტონიის ჩემპიონი სპარსეთის ჩემპიონია წინააღმ.
3) მოზინგი—გენუა-ალის წინააღმდეგ.

ორ შაბათს, 18 ოქტომბერს
დიდი საღმარისა საულო ნარკომდგანა.
ქილაობს სამი წყვილი.

1) მაკაროვი—მუშა მოხალისის წინააღმდეგ. ქილაობა რეგანში.
2) მეორე შეხვედრა—ბრონენოსცევი—მურომეცის წინააღმდეგ.
3) უტნობი—ზაგორუციკოს წინააღმდეგ.

